**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

08 ივნისი, 2026 წელი

# ბრძანება №01-10/61

**რეზიდენტურის ალტერნატიული** დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) **სუბსპეციალობის პროგრამის „დენტალური იმპლანტოლოგია“** სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და პირველადი **ხარჯთაღრიცხვის** დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რსუ-ში მოქმედ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და ასევე რეზიდენტურაში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო რეზიდენტურის მსმენელებისათვის (რეზიდენტებისათვის) **სწავლის საფასურის განსაზღვრის** უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №04 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რსუ-ში მოქმედ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და ასევე რეზიდენტურაში **დასაქმებული პირების** (მოწვეული სპეციალისტების/რსუ-ს აკადემიური პერსონალის) **შრომის ანაზღაურების** ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №05 გადაწყვეტილების, დადგენილების, ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი **ბიუჯეტის** (ხარჯთაღრიცხვის) **შედგენის წესის** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის N07-01/04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე **სწავლის საფასურის გადახდის წესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 11 მარტის N01-10/36 ბრძანების, „რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) **სუბსპეციალობის** პროგრამის „დენტალური იმპლანტოლოგია“ განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 3 ივნისის **№01-06/107** დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№27-05/06, 07.05.2026) ამონაწერისა და დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 26 0000544774, 07.05.2026) **საფუძველზე**,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) **სუბსპეციალობის** პროგრამაზე **„დენტალური იმპლანტოლოგია“** (ხანგრძლივობა 2 თვე) **სწავლის საფასური, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირველადი ხარჯთაღრიცხვა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ამ ბრძანებაში აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის სტომატოლოგიურ კლინიკას „ბსუ დენტი“, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს,

სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **მერაბ დიასამიძე**

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 08 ივნისის №01-10/ 61 ბრძანების**

**№1 დანართი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **რეზიდენტურის** ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) **სუბსპეციალობის** პროგრამაზე **„დენტალური იმპლანტოლოგია“** სწავლის **საფასური, პერსონალის შრომის ანაზღაურება და პირველადი ხარჯთაღრიცხვა** **(საფუძველი:** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 3 ივნისის №01-06/107 დადგენილება) | | | | |
| პროგრამაზე სწავლის **ხანგრძლივობა - 2 თვე (160 საათი);** **პროგრამის კომპონენტები (მოდულები):** თეორიული სწავლება - 55 საათი და პრაქტიკული სწავლება - 105 საათი), | | | | |
| № | ხარჯთაღრიცხვის პარამეტრები 1 სპეციალობის მაძიებელზე/მსმენელზე | | თანხა | |
| 1 | პროგრამაზე სწავლის საფასური (სრული) | | **3 000.00 ლარი** | |
| 2 | **პროგრამის ხელმძღვანელის** შრომის ანაზღაურება - სწავლის საფასურის 20 **%** | | 600.00 ლარი | |
| 3 | **პროგრამის კომპონენტებზე (მოდულებზე) პასუხისმგებელი პირის (პირები) შრომის** ანაზღაურება (სწავლის საფასურის **32%)** | **პროგრამის კომპონენტები/მოდულები (სწავლების ფორმა )** | **ხანგრძლივობა** | **შრომის ანაზ-ბა** |
| | | თეორიული სწავლება | 55 სთ. | 330.00 ლარი |
| | | პრაქტიკული სამუშაო | 105 სთ. | 630.00 ლარი |
| 4 | პროგრამის **დამხმარე პერსონალის - ასისტენტის** (სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ფუნქციით) შრომის ანაზღაურება - სწავლის საფასურის **4 %** | | 120.00 ლარი | |
| 5 | პროგრამის **დამხმარე პერსონალის - ასისტენტის** (სამართლებრივი მხარდაჭერის ფუნქციით) შრომის ანაზღაურება - სწავლის საფასურის **4 %** | | 120.00 ლარი | |
| 6 | კლინიკის (სამედიცინო დაწესებულების) მომსახურების ხარჯი (ქირავნობის, მასალა- მედიკამენტებით და სხვ. უზრუნველყოფა) - სწავლის საფასურის **20 %** | | 600.00 ლარი | |
| 7 | უნივერსიტეტის განვითარების ხარჯები - სწავლის საფასურის **20 %** | | 600.00 ლარი | |